



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #124/12

1. ფაქტები

ადვოკატმა ლ.ბ-მ გამოწერა ორდერი, სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მისი მარწმუნებლის (მ.მ-ს) პროცესუალური მოწინააღმდეგე, მსჯავრდებული ა.ყ. ადვოკატმა მოინახულა მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ორდერის საფუძველზე სხვა ქმედება არ განუხორციელებია. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ლ.ბ-ს მიერ გამოწერილ ორდერს ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, რადგან მიზნად არ ისახავდა ორდერში მითითებული პირის ა.ყ-ს ინტერესების დაცვას.

2. პროცესუალური ისტორია

კ.ბ-მ მიმართა ეთიკის კომისიას ადვოკატ ლ. ბ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. 2012 წლის 12 ნოემბერს ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღმშენებლის თაობაზე.

3. სამართლებრივი ანალიზი

დაარღვევს თუ არა ადვოკატი კანონს, როდესაც ორდერს გამოწერს იმ პირის სახელზე, ვისი ინტერესების დაცვასაც ადვოკატი არ ახორციელებს? ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელზე ორდერის გამოწერა გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულ პირს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად.

თუ ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც არის ორდერში მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ადვოკატ ლ.ბ-ს მიდგომა საკითხისადმი, ადვოკატის განცხადება განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომ არასწორად მოიქცა და არ უნდა გამოეწერა ორდერი, სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგე. ასევე, განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ ადვოკატის ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია. ადვოკატმა ლ.ბ-მ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც უფლებას ანიჭებს ადვოკატს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის კანონსაწინააღმდეგო ქმედება გამოიხატა „ფიქტიური“ ორდერის გამოცემაში, რომელიც არ ემსახურებოდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვას, რაც

© ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
იურიდიული ეთიკის მიმართულება
© ზაურ ხარატი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორდერის სამართლებრივ ბუნებას.

ადვოკატ ლ.ბ-ს მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.